პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი ხუთშაბათი 31 მაისი № 124 (17469) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქმეთ გამოაჩინა

იღვწიან საკვებმომპოვებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეებში ხობის რაიონის მექანიზატორები შეუდგნენ სასენაჟე ცერცველა — შვრიის მწვანე მასის აღებას, რომელიც ჯიგმით გათვალისწინებული 10 ათასი ტონის ნაცვლად 15 ათასი ტონა უნდა დაამზადონ.

სურათზე: ხობის რაიონის ხეთის კოლმეურნეობის მექანიზატორ-საკვებმომპოვებელი გულადი ბოკია ყოველდღიურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს.

ი. ბოსხოლელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას საკვების წარმოებაში, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ მეცხოველეობის ყველა დარგი!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი სოფლის მშრომელებს, მუშებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

პარტიას თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მუდამ საბჭოთა ხალხს, თითოეული საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის თანამიმდევრული, გეგმაზომიერი გაუმჯობესების ამოცანა მიაჩნდა და მიაჩნია. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას ისახავს პარტიის ყველა გეგმა, ამ მიმართულებით წარმართავენ ყველა შრომითი კოლექტივის მეცადინეობას, რომელთა კონკრეტულ წვლილზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი წინსვლა, დასახული მიჯნების წარმატებით დაძლევა. და დღეს, როცა ჩვენს წინაშე დგას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მკვეთრად გადიდების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოფლის ყველა მშრომელს, მუშებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას მიაღწიონ მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის ძირეულ გარდატეხას საკვების ბაზის განმტკიცებაში, ახალ საფეხურზე აიყვანონ მეცხოველეობის ყველა დარგი, რათა თითოეულ ოჯახს საკმარისად ჰქონდეს ხორცი, რძე და კვერცხი.

ამ ბოლო წლებში არსებითი ძვრები შეიმჩნევა მეცხოველეობის განვითარებაში, გაცილებით უფრო მეტს აწარმოებენ და დამზადებენ ყოველგვარ საკვებს, ეს კი ხელს უწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას. მაგრამ ახალი ამოცანები მოითხოვს გაძლიერდეს ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობა. იმ დებულებათა შესაბამისად, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვა შეიცავს, რესპუბლიკამ წელს უნდა გაარკვიოს ხორცის წარმოების ზრდის ტემპი და გაზარდოს მისი რეალიზაცია 97,8 ათას ტონამდე, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში უნდა გადიდდეს: პირუტყვის და ფრინველისა — 144,5 ათას ტონამდე, რძისა — 268,5 ათას ტონამდე, კვერცხისა — 456 მილიონ ცალამდე. ამასთან რძის წარმოებამ უნდა შეადგინოს 318,7 ათასი ტონა, კვერცხისამ — 490 მილიონი ცალი.

ასეთია რესპუბლიკის მშრომელთა ხუთწლედის მეოთხე წლის ვალდებულებანი, რომლებიც პარტიულ-სამეურნეო. აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე მიიღეს. მათი რეალიზაცია მოითხოვს ძალების მნიშვნელოვან დაძაბვას, დიდ ორგანიზებულობასა და მტკიცე დისციპლინას წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე. სწორედ ამთავითვე უნდა შეეკმნათ მტკიცე საფუძველი საიმისოდ, რომ წარმატებით შეასრულოთ არა მარტო მიმდინარე წლისათვის, არამედ 1979-1980 წლების მომავალი გამოზამთრებისათვის დასახული გეგმები. ეს საფუძველი კი უწინარეს ყოვლისა საკვები გახლავთ: იგი უსვად უნდა მოიმარაგოს თითოეულმა მეცხოველეობის კომპლექსმა, ყოველმა მეურნეობამ, თითოეულმა ფერმამ. ეს ნიშნავს, რომ მოლიანად რესპუბლიკაში წელს უნდა ვაწარმოოთ დაახლოებით 2,5 მილიონი ტონა საკვები ერთეული, მხოლოდ ასე შეძლებენ მშრომელები წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და გაზარდონ ხორცის, რძის, კვერცხის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, რის მეოხებითაც გაუმჯობესდება ჩვენი ქალაქების, სოფლების, კურორტების მომარაგება, რომელთა მოთხოვნილება ჯელნშნულ პროდუქტებზე განუწყვეტლივ იზრდება.

საკვებ კულტურებს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ფართობი აქვს დათმობილი. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ სწრაფი ტემპით არ იზრდება მათი მოსავლიანობა, ნელა წარმოებს სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოები, ბევრი მეურნეობა აგვიანებს თივის, სასილოსე კულტურებისა და ძირხვენების მოსავლის აღებას, უხეშად არღვევს თივის, სენაჟის, სილოსის დამზადების ტექნოლოგიას, ამზადებს უხარისხო საკვებს, რაციონალურად, მზრუნველად არ იყენებს მას. არცთუ იშვიათია წამატების, თვალსახვევის ფაქტები, რაც სხვა არა არის რა, თუ არა პარტიის, ხალხის მოტაუება. ამ ბოლო დროს ჩვენ ბევრი არსებული ნაკლი გამოვასწორეთ, ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ უმნიშვნელოვანეს უბანზეც საბოლოოდ აღვკვეთოთ უუაირათობა და გულგრილობა, მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას საკვებმოპოვებასა და საკვებწარმოებაში.

ჩვენ ყველანი ვაგებთ პასუხს ჩვენს გეგმებზე, ყველას უნდა ანაღვლებდეს საერთო საზრუნავი და საქმე, მხოლოდ ასეთი მიდგომის შედეგად მივაღწევთ წარმატებას მეცხოველეობის — ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგის მკვეთრი ალმავლობის გზაზე. ადამიანის იდეური და მოქალაქეობრივი სიმწიფის ერთადერთი მაჩვენებელია თაოსნური, შემოქმედებითი მონაწილეობა შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს აზრი კიდევ ერთხელ აღინიშნა ხაზგასმით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამსახველ დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ამმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტში, რომლის დებულებებითაც უნდა იხელმძღვანელოს თავის საქმიანობაში ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებიამ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სოფლის მშრომელები, მუშები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, რესპუბლიკის ყველა კომუნისტი და კომკავშირელი თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნევენ საკვების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის გაჩაღებულ კამპანიას, ღრმად შეიგნებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში თავიანთი პირადი მონაწილეობის საზოგადო მნიშვნელობას და სერიოზულ ძერებს მიაღწევენ საკუთარი წარმოების საკვებით ფერმების უზრუნველყოფაში.

მკვეთრად გაზრდიან ყველა სახეობის საკვების დამზადების მოცულობას და გაუმჯობესებენ ხარისხს, ფართოდ გაშლიან შეჯიბრებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. აქტიურად დაუჭერენ მხარს ხობისა და გურჯაანის რაიონების შრომითი კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც საკვების ბაზის განმტკიცების დიდი ვალდებულებანი იკისრეს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები გამოიჩენენ მეტ ორგანიზებულობასა და მეზანსწრაფვას დასახული გეგმების მიღწევაში, რომ არც ერთი სამინისტრო და უწყება, არც ერთი საწარმო და დაწესებულება, არც ერთი სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაცია, არც ერთი კოლექტივი გვერდზე არ განუდგება ამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმეს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხარდაჭერით უნდა გამოიჩინონ მაღალი ორგანიზებულობა და მასობრიობა, მიაღწიონ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობასა და გაქანებას, რაიონულმა ორგანოებმა უნდა შეარჩიონ სათიბად ვარგისი ნაკვეთები, გაუპიროვნონ ისინი ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, დაიწესონ გამომუშავების ნორმები და გაანაწილონ დავალებანი ორგანიზაციების მიხედვით, იზრუნონ ინვენტარისა და ტრანსპორტისათვის, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურებისათვის. საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ მოსწავლე ახალგაზრდებისაგან შექმნას მფრინავი რაზმები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და სტუდენტთა რაზმები, რათა მათ იმუშაონ სოფლად მეხუთე შრომითი მეოთხედისა და მესამე შრომითი სემესტრის პერიოდში. მომავალ შაბათს, 2 ივნისს, მოწინავე კოლექტივების ინიციატივით მოეწყობა საკვების დამზადების მასობრივი საერთო-რესპუბლიკური შაბათობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკაში გაშლილი საკვების დამზადების 1979 წლის კამპანია დასაბამს მისცემს ძირეულ გარდატეხას მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში, რომ მეურნეობების, საწარმოების, მშენებლობების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ხელმძღვანელები გამოიჩენენ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას სამუშაოთა ორგანიზაციაში, განსაზღვრავენ თითოეული კოლექტივის ადგილს საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნაში, მისი ხარისხის გაუმჯობესებაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დროზე აიღონ მწვანე მასა როგორც დასამუშავებელ სავარგულებზე, ისე გზებისა და არხების გაყოლებით, ფერდობებზე და ხევებში — ყველგან, სადაც ამისათვის არის თუნდაც მცირე შესაძლებლობა, არ დაუშვებენ, რომ თიბვისა და საკვების დამზადების შაბათობებზე სამუშაოს არაკეთილსინდისიერად მოეკიდონ საწარმოოთა ცალკეული შეუგნებელი წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ სოფლად გამგზავრება თავშესაქცევ სეირნობად გადაქციონ, საქმეს ისე მოაწყობენ, რომ სოფლიათვის დახმარება მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს.

დაე ყოველ ჩვენგანს მუდამ ახსოვდეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე ნათქვამი სიტყვები: „ყველაფერი, რაც მეცხოველეობამ უნდა მოგვცეს — მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები, — საბოლოო ანგარიშით იმაზეა დამოკიდებული, რომ საკმაოდ გვქონდეს საკვები, თანაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი“. და არა მარტო გვახსოვდეს, არამედ პირადი მონაწილეობით შეძლებისდაგვარი წვლილიც შეგვქონდეს ყველას და თითოეულის ღვიძლ საქმეში, მიუხედავად იმისა, წარმოების რომელ უბანზე შრომობს იგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

დამკვრელურად!

როგორი მაჩვენებლებით ვხვდებით მეორე კვარტალის დამამთავრებელ თვეს?

ივნისის ანგარიშში

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა ვადაზე სამი დღით ადრე გაანაღდა სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვა-გაგზავნის ხუთი თვის დავალება.

ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის საერთო მოცულობა წლის დამდეგიდან 1978 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 3,7 პროცენტით გაიზარდა. დაზოგილია 1,5-ჯერ მეტი ელექტროენერგია და დიზელის სათობები, ვიდრე ნაკისრი ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

ივნისის ანგარიშში პირველმა გაგზავნა ტვირთი მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატმა, რომლის რკინიგზელებმა ადრესატებს ჩაბარეს 550 ათასი ტონა ზეგზემითი სახალხო-სამეურნეო პროდუქცია და 3,5 პროცენტით გადააჭარბეს ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის ზრდის დავალებას.

(საქინფორმი).

თავი ისახელეს

ჟუთაისის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა 29 მაისისათვის შეასრულა. თვის ბოლომდე ქალაქის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ლითოფონის ქარხნის პურპროდუქტების კომბინატის, სახლთსამენებელი კომბინატისა და კიროვის სახელობის საქეერვალო სამრეწველო გაერთიანების კოლექტივებმა.

წარმატებებია მიღწეული აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ახლა ქუთაისის მრეწველობის საერთო მოცულობაში საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული ნაწარმი 31 პროცენტს შეადგენს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

მაღაროელთა წვლილი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის სამთამადნო კომბინატის კალინინის სახელობის მაღაროთ-სამმართველოს კოლექტივი 1979 მოწინავეთა რიგებშია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მან წლის დამდეგიდან 55 ათასი მანეთი დაზოგა.

ამას მაღაროელებმა საწარმოო პროცესების მექანიზაციის სრულყოფის, ტექნოლოგიური ციკლების დაჩქარებისა და სამუშაო დროის შემჭიდროების შედეგად მიაღწიეს. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან მადნის მომპოვებელთა ის უბნები, რომლებსაც გ. ჭუმბურიძე, ვ. ბოყოველი და შ. კაპანაძე ხელმძღვანელობენ.

ახალი რეზერვების ამოქმედებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის წარმატებით დამთავრებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. შინაგანი რეზერვების ძიებისა და ამოქმედების შედეგად პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპმა წლის დამდეგიდან 107,2 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა გეგმით 104,8 პროცენტი იყო გათვალისწინებული.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანი — ინგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი პროდუქციის წარმოება 12 პროცენტით გაიზარდა. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,1 პროცენტით შესრულდა.

მოწინავეთა შორის აღიარეს ჩაის საწარმო ფაბრიკა, ფაიფურის ქარხანა, სამტრესტის ღვინისა და სარემონტო-მექანიკური კომბინატები.

ქალაქის 17 საწარმოდან იანვარ-აპრილის გეგმა მხოლოდ ერთმა ვერ შეასრულა.

ქართველ კინოფიკატორთა წარმატება

სასიხარულო ცნობა მიიღო საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა: რესპუბლიკის სახელმწიფო კინოქსელის კოლექტივს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მიენიჭა სსრ კავშირის სახკინოსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სსრ კინოქსელმა კინოსაგან შემოსავლის კვარტალური გეგმა 126,2 პროცენტით შეასრულა.

უნარიანი სარეპერტუარო პოლიტიკის, კინორეკლამისა და კინოგაქირავების სამუშაოებისა მაქსიმალური გამოყენების შედეგად ქართველმა კინოფიკატორებმა მიაღწიეს იმას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კინოთეატრებში მაყურებელთა რიცხვმა ბევრად გადააჭარბა საგეგმო ციფრს.

ეს რესპუბლიკის კინოქსელის მუშაკთა მეორე დიდი წარმატებაა. შარშან მათ პირველად მიენიჭათ სსრ კავშირის სახკინოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ერთელ სსრ კავშირის სახკინოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით. (საქინფორმი).

სუსხიანი სტრიქონები

ბავშვებს იმედი ვერ გაუმართლეს

არც ისე მხიარული იყო ახალმოსახლეობა საბავშვო ბაღში, ჯერ ერთი, სოხუმის ეს სკოლამდელი დაწესებულება ძალიან დიდხანს შენდებოდა, მეორეც, ახალმოსახლეთა განწყობილებას აფიუჩიდა ხარვეზები.

მაგრამ ყველაფერი ეს, არც ისე სავალალოა, თუ გავიფიქრეთ, რომ აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს ასეთი ახალმოსახლეობაც არ უზიმძიათ. მშენებელთა უგულგულობის გამო მიმდინარე ხუთწლედში 840 ბავშვმა ვერ მიიღო შეპირებული საბავშვო ბაღები, რომელთაგან თითოეული 140 ბავშვისათვის იყო გათვალისწინებული. ეს მარტო აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ხაზით იყო ასაშენებელი და კიდევ რამდენი დაფუძთავრებელი საბავშვო ბაღია ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლებიც კომეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით შენდება?

— ბავშვის საერთაშორისო წელსაც კი, თქვა აფხაზეთის განათლების სამინისტროს მთავარმა ინჟინერმა ე. ბენიამ, — მშენებლები მაინც არ ცდილობენ პატარების გახარების ახალი საბავშვო ბაღებით.

გადავხედოთ ფაქტებს. ჯერ კიდევ შარშან № 6 ტრესტის მშენებლებს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 140-დგილიანი საბავშვო ბაღი რაიონულ ცენტრში — გალში. მათ საძირკველი ჩაუყარეს შენობას, მაგრამ შემდეგ დიდხანს აღარ გამოჩენილან სამშენებლო მოედანზე. ამისათვის ისინი გაკიცხეს და დაავალეს წელს პირველი მაისისათვის ჩაბარებინათ ობიექტი.

მაისის დღისასწაულის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, საბავშვო ბაღის მშენებლობის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს. აქ 122 ათასი მანეთიდან მარტო 80 ათასი აითვისეს. მოპირკეთების, სანტექნიკის, სამონტაჟო სამუშაოები ისეთი ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ მშენებლები ალბათ მეორე კვარტალის დამლევამდე ვერ მორჩებიან ამ სამუშაოებს.

მშენებლებმა არც ქალაქ გაგრის ბავშვების იმედი (გაამართლეს. აქ საბავშვო ბაღის მშენებლობას მეორე წელია არ იწყებენ. თუმცა ამაში ბრალი მიუძღვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსაც, რომელმაც გაჯიანურა მშენებლობისათვის ადგილის გამოყოფა.

ერთი სიტყვით, ძალზე ბევრია იმის მაგალითები, რომ ხელმძღვანელები ისეთი სოლიდური სამშენებლო ორგანიზაციებისა, როგორიცაა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტი, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი და გაგრის „კურორტმშენის“ ტრესტი, საბავშვო ბაღების მშენებლობის საქმეს მეორეხარისხოვნად თვლიან. გაგა ამას არ მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში მათ საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ არც ერთი ობიექტი?

ყოველივე ეს უეჭველია შეშფოთებას იწვევს აფხაზეთში მშენებარე საბავშვო ბაღების მშენებლობის ბედისათვის. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ წლითიწლობით უნდა ფართოვდებოდეს სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი. აი ახლაც ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში კიდევ 12 ახალი საბავშვო ბაღის აშენების შესახებ. ისინი უნდა ხარისხიანად და ლამაზად ააშენონ, რათა ბავშვებმა იქ მხიარულად და ბედნიერად იცხოვრონ.

თ. ჯიბუტი,
(საქინფორმის კორ.).

სტუმრად მოძმე უნგრეთში

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით 30 მაისს მოსკოვიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. თ. დობრიკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გაიცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, მ. ვ. ზიმიანინმა, მ. ს. გორბაჩოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

ბუდაპეშტი, 30 მაისი. (საკადესის სპეც. კორ.).

სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით, წითელი ლოზუნგებითაა მორთული ფერიჰეგის აეროპორტი. აეროვაგზლის ფრონტონზე გამოკრულია წითელი ტილო, რომელზეც წარწერილია: „გულითადად მივესალმებით ჩვენს სამშობლოში ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მომძე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას!“

ადგილობრივი დროით 10 საათია. აეროდრომის თავზე უნგრეთის სახალხო არმიის ავიაგამანადგურებლების ესკორტის თანხლებით გამოჩნდა ილ-62 სპეციალური ლაინერი. იგი ჯდება და გეზს იღებს შეხვედრის ადგილისაკენ. კიბეზე ჩამოდის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მას გულთბადად მიესალმება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

ამხანაგი ი. კადარი, უნგრეთის სხვა ხელმძღვანელები მაგრად ართმევენ ხელს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. უ. ჩერნენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. ვ. რუსაკოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ი. ვ. არხიპოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნს ვ. თ. დობრიკს.

აეროპორტში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას დახვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ლომშინცი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები დ. აცელი, ვ. ბენკე, ბ. ბისკუ, შ. გაშპარი, ლ. მაროტი, კ. ნემეტი, დ. ნემეში, მ. ოვარი, ი. ჰუსარი, ი. შარლოში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ი. ბრუტაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები შ. ბორბეი, ა. დენეში, ი. დერი, ფ. ჰავაში, მ. კოროში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და იანოშ კადარი, საბჭოთა დელეგაციის წევრები, უნგრეთის ხელმძღვანელები სხდებიან ავტომანქანებში. მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ისინი აეროდრომიდან ქალაქის ცენტრში მიემართებიან. გზაში ბუდაპეშტის ათასობით მცხოვრები გულითადად, გულწრფელად მიესალმებოდა საბჭოთა დელეგაციას. (საკდესი).

მოსკოვი. სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობაზე

პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 30 მაისს მოსკოვიდან ლისაბონს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის სუმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. გრინცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ს. ჩერნიაევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (საკდესი).

ფრთებს შლის მომიჯნავეთა პაექრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რკინიგზის ამასწინანდელ აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ გააკრიტიკა ფოთის ნავსადგურისა და რკინიგზის სადგურების კოლექტივები, რომლებიც ცალ-ცალკე კარგად ართმევენ თავს სახელმწიფო გეგმებს, მაგრამ შეუთანხმებლად მუშაობენ და ერთმანეთთან მუდმივი დავა აქვთ. მან აღნიშნა, რომ ასეთი საუწყებო გაურკვევლობა ზიანს აყენებს სახელმწიფო ინტერესებს და ამ საკითხის მოგვარება შეიძლება ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის გამოცდილების დანერგვით.

გაზეთის ამ გვერდზე ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იყენებენ ამიერკავკასიის რკინიგზის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მუშაკები ლენინგრადელთა გამოცდილებას, რა უშლის ხელს მის საუოველთაო დანერგვას.

სურათზე: თბილისის სატვირთო სადგურის საკონტეინერო განყოფილება ტვირთზიდვის საქმეში ჩვენი დედაქალაქის მრავალ ორგანიზაციას ემსახურება. აქ ყოველდღიურად 150-160 კონტეინერი შემოდის და დანიშნულების ადგილზე იგზავნება. სადგურის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ წარმატებაში, რომელსაც ამიერკავკასიის რკინიგზელებმა მიაღწიეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

გ. გოგოხიას ფოტო.

☐ ტრანსპორტი საახალხო მეურნეობაში ქვეყნის ართერიაა

☐ წლითიწლობით ვითარდება ჩვენი ქვეყნის სარკინიგზო, საზღვაოსნო და საავტომობილო ტრანსპორტი ☐ ამ დარგის მოქნილ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი საახალხო მეურნეობის წარმატება და შემდგომი აღმავლობა

ერთი მიზნისაკენ

ლენინგრადელთა გამოცდილების დასანერგად და გასავრცელებლად ამიერკავკასიის რკინიგზაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. უკვადია, ამ საუწყებათაშორისო სოციალისტურ შეჯიბრებში, რკინიგზის მხრივ, მთავარ როლს ბათუმისა და ფოთის სადგურები ასრულებენ. საერთოდ ამიერკავკასიის რკინიგზის მგზავრებზე ზემოაღნიშნულმა მეთოდმა, თუმცა, მცირეოდენი ცვლილებით, მაგრამ კარგად მოიკიდა ფეხი.

ბათუმის სატრანსპორტო კვანძზე ტვირთის გადამუშავების პროცესში მხოლოდ რკინიგზელები და ნავსადგურის მუშაკები მონაწილეობენ. მათ შორის შუამავალია სრულიად საკავშირო საზოგადოება — „სადგომი სატრანსპორტო კავშირის“ ბათუმის განტორა — ორგანიზაცია, რომლის სახელზედაც ტვირთი მოდის.

შარშან ოქტომბერში ბათუმის სატრანსპორტო კვანძზე ურთიერთშეკავშირებული უწყვეტი სგეგმა გრაფიკით მუშაობის სისტემა დაინერგა. რკინიგზის სადგურსა და ნავსადგურს შორის დამყარდა მტკიცე სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი. მოქმედებს მრავალარხიანი ტელეგრაფი. აქედან ორი — პორტის, რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისა და ამიერკავკასიის რკინიგზის საინფორმაციო გამმთველ ცენტრებს აკავშირებს. უწყვეტი სმუშაო გეგმა-გრაფიკი ყოველ შვიდ დღეში დგება და სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მიერ ზოგიერთი კოოექტორების შეტანის შემდეგ კანონის ძალას იღებს. მისი ზუსტი და დროული შესრულება სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთათვის აუცილებელია.

მაინც რა უპირატესობა აქვს მომიჯნავეთა პაექრობას, რა დადებითი შედეგები მოგვცა მან? აი რკინიგზელთა აზრი ამის შესახებ.

ლ. ვარდოსანიძე,

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი

ჩვენს პირობებში რუსი კოლეგების გამოცდილების დანერგვა მეტად სასურველ შედეგებს გვაძლევს. ბოლო დროს ნავსადგურებთან მდებარე რკინიგზის სადგურების მუშაობა უფრო სტაბილური გახდა.

რკინიგზელთა საქმიანობის უმაღლესი საზომი, როგორც ცნობილია, სატვირთო ოპერაციების პროცესში ვაგონთა მოცდენის ნორმების დაცვაა. ამ მაჩვენებლის გეგმა წლების განმავლობაში არ სრულდებოდა და ტრანსპორტის მუშაკთა შრომითის მოღვაწეობას ჩრდილს აყენებდა. ახლა, რომ იტყვიან, ყინული ადგილიდან დაიძრა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს პრობლემაც გადაიჭრა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვედით.

ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ტვირთის მიმღებთა მიერ უწყვეტი გეგმა-გრაფიკის ზუსტი დაცვით კონტეინერების გატანას. ამ თვალსაზრისით, ავტოსაწარმოების მუშაკებთან თანამგობრობით, ლენინგრადელ ტრანსპორტის მუშაკთა გამოცდილებას თბილისის საკვანძო სადგურშიც ვიყენებთ და საკმაოდ შედეგიანადაც. თუმცა, გრაფიკის შემოღება გაცილებით მეტ ეფექტს მოგვცემდა, ტვირთის მიმღებთა და გამგზავნთა მუშაობა რომ უფრო მოქნილი და დახვეწილი იყოს მთელი კვირის განმავლობაში. საქმე ის არის, რომ დასვენების და სადღესასწაულო დღეებში ტვირთზიდვასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოცულობა ორმოცდაათიდან ოთხმოც პროცენტამდე მცირდება. ეს კი ძალზე უარყოფითად მოქმედებს ჩვენს საერთო მაჩვენებლებზე, დროა, ამ საკითხის გადაჭრაში დაგვეხმაროს ყველა ის ორგანიზაცია, რომლებსაც კონტაქტი აქვთ ჩვენთან. **ავტოტრანსპორტის მუშაკებმა მომიჯნავეთა პაექრობაში მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ. მათ უნდა უზრუნველყონ მოკლემანძილიანი მარშრუტების ტვირთის გატანა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებიდან, რათა გამოთავისუფლონ ვაგონები სახალხო-სამეურნეო საქონლის შორ მანძილზე გადაზიდვისათვის.**

ა. გოგბიანიძე,

ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე

საუწყებათაშორისო სოციალისტურმა შეჯიბრებამ საგრძნობლად განამტკიცა შრომითი კოლექტივების თანამგობრობა. დარგების მუშაკები ახლა დიდი ყურადღებით ეპყრობიან ერთმანეთის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას. ამ მიზნით ხშირად ვმართავთ ჩვენი საგზაო კომიტეტის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების გაერთიანებულ სხდომებს, აგრეთვე რკინიგზელების, მეზღვაურებისა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა აქტივის კრებებს. ასეთი შეხვედრები გვეხმარება ჩვენ წინაშე მდგომი ბევრი საპრობლემო საკითხის კომპლექსურ გადაჭრასა და მეცნიერულად დასაბუთებულ სოციალისტურ ვალდებულებათა მიღებაში. ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების შედეგად კვეთრად გაუმჯობესდა სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება, კარგი პირობები შეიქმნა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდისათვის. ბათუმის რკინიგზის სადგურის კოლექტივმა, მაგალითად, შეჯიბრების დაწყების პირველი წლიდანვე რამდენჯერმე დაიკავა პირველი ადგილი, როგორც მთელი ამიერკავკასიის რკინიგზის მასშტაბით, ისე მომიჯნავეთა შორის. ერთი სიტყვით, სოციალისტური შეჯიბრების ამ სახეობამ საბოლოო ანგარიშში სამივე მონაწილეს დიდად შეუწყო ხელი მეათე ხუთწლედით გათვალისწინებული პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

ამასთან მინდა ჩემი მოსაზრებანი გამოვთქვა მომიჯნავეთა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის დროს წამოჭრილ ზოგიერთ პრობლემაზე. ეს უპირველესად ეხება ფოთის რკინიგზის სადგურის და ნავსადგურის მუშაობას. **ამ ორ კოლექტივს არ გააჩნია ურთიერთდაკავშირებული გეგმები და გრაფიკები, რის შედეგადაც ვერ სრულდება ტვირთის გადამუშავების დავალებანი. ფოთის რკინიგზის სადგურს შეჯიბრების პროცესში საშუალო-სადღეღამისო დატვირთვის გეგმები ერთხელაც არ შეუსრულებია.** ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ გზათა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროებს დღემდე არა აქვთ შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაჩინო მოქმედების ურთიერთშეთანხმებული სტაბილური პროგრამები.

გ. ტურზულაძე,

ამიერკავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის უფროსი

კომპლექსურმა საუწყებათაშორისო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ბევრი სიკეთე მოგვიტანა. მკვეთრად გაუმჯობესდა ურთიერთდამოკიდებულება რკინიგზის სადგურებისა და ნავსადგურების თანამშრომლებს შორის. შეთანხმებული მუშაობის შედეგად შემცირდა ვაგონების მოცდენა, დაჩქარდა სატვირთო ოპერაციების წარმოება, უფრო სრულყოფილი გახდა ტვირთის გადამუშავების ტექნოლოგია.

შარშან ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა კარგად გაართვა თავი სახალხო მეურნეობის საქონლის დატვირთვის გეგმებს. გადაჭარბებით შესრულდა საქონელბრუნვის სახელმწიფო დავალება. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მომხმარებლისათვის ისეთი ტვირთის ოპერატიული მიწოდების საქმეში, როგორიც არის სათბობი, საშენი მასალები და ქიმიკატები. ვადამდე შესრულდა კონტეინერების დატვირთვის გეგმები, საერთოდ 20 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ტვირთი გადავზიდეთ. მიუხედავად ამისა, **შარშან ჩვენს მუშაობაში ყველაფერი რიგზე როდი იყო. რკინიგზის კოლექტივმა ვერ უზრუნველყო ვერც ვაგონთა ბრუნვის სახელმწიფო გეგმის შესრულება და ვერც სოციალისტური ვალდებულების რეალიზაცია.** შეუსრულებელია აგრეთვე კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებას ხელი უნდა შეეწყო შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. **ჩვენმა „მოქიშპემ“ — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმა კი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა.**

თავიანთი გეგმების ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მხრივ საკმაოდ კარგად წარმოგვიდგნენ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მუშაკებიც. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ **სხვადასხვა მიზეზის გამო მომიჯნავეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მეავტომობილეთა მონაწილეობა ჯერ კიდევ არ არის ისე ინტენსიური, როგორც რკინიგზელთა და ნავსადგურის მუშაკებისა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მომიჯნავეებთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რკინიგზელები თანდათან ხვეწენ თავიანთი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. **მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა გაიმარჯვა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამასთან გზათა სამინისტროს და პროფკავშირის დარგობრივი ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშაც დაიმსახურა.**

წარმატებები თვითდამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ახალი ფორმები და მეთოდები იმისათვის, რომ მომიჯნავეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება ხარისხობრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ, გადაგლახოთ ის სიძნელეები, რომლებიც ხელს გვიშლის შრომის ნაყოფიერების ზრდაში, მინიმუმამდე შევამციროთ ვაგონების მოცდენები, მკვეთრად გავაუმჯობესოთ ვაგონთა ბრუნვის საქმე, მოვაგვაროთ, უფრო ობიექტურად უზრუნველვყოთ კოლექტივებისა და ინდივიდუალურად შეჯიბრებაში ჩაბმულთა მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხები.

ახლო მომავალში ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის მუშაობის მეთოდი თბილისის კვანძის სადგურებშიც დანერგოს იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ტვირთის გადამუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ რკინიგზა, ავტოტრანსპორტი და ტვირთის მიმღები ორგანიზაციები. ამ ამოცანის განხორციელებაში დიდი როლი სწორედ რომ ტვირთის მიმღებებმა უნდა შეასრულონ. შეჯიბრების წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, დროზე გაიტანენ თუ არა ისინი ტვირთს და არ დაუშვებენ გატანილი საქონლის უკან დაბრუნებას.

როცა გული გულოგს

10 **ათუმის** საზღვაო ნავსადგურში ხომალდ „გიორგი ვასილევის“ კაპიტნისაგან რადიოგრამა მიიღეს. კაპიტანი იტყობინებოდა ჩამოსვლის დღისა და საათს, ტვირთის რაოდენობას და ხასიათს. სადისპეტჩერო აპარატი ტვირთის დამუშავების გეგმის შედგენას უმალვე შეუდგა. ქალაქის რკინიგზის სადგურს ოპერატიულად აცნობეს, თუ რამდენი ვაგონი დასჭირდებოდათ. ნავსადგურში შემოსულ ხომალდს ყველაფერი მზად დახვდა.

რკინიგზელებს, ეკიპაჟსა და მენავსადგურეებს, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიზანი ერთი ჰქონდათ — ვადამდე დაეცალთ ტვირთი. კომპლექსურ, შეთანხმებულ ღონისძიებებს შესანიშნავი შედეგი მოჰყვა. „გიორგი ვასილევი“ გეგმასთან შედარებით 32,5 საათით ადრე გაუშვეს მორიგ რეისში. ამით უდიდესი საქმე გაკეთდა. სახალხო მეურნეობამ ვადამდე მიიღო ათასობით ტონა ლითონი. ეს ერთადერთი შემთხვევა როდი იყო. თბომავალი „სურენ სპანდარიანი“ 15 საათით ადრე დაამუშავეს. ასეთ შეთანხმებულ შრომას მუდამ შესანიშნავი შედეგი მოსდევს...

განვლილი პეროდი გვიჩვენებს, რომ ლენინგრადელთა თაოსნობის დანერგვამ საქართველოს სატრანსპორტო ორგანიზაციებს უდიდესი ეკონომიკური ეფექტი მისცა. შარშან სამივე ორგანიზაციამ გასული წელი წარმატებით დაამთავრა, ხოლო სატრანსპორტო ორგანიზაციათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს საზღვაო სანაოსნო გამარჯვებული გამოვიდა. მან გეგმის გადამეტებით დაამუშავა 216 ათასი ტონა ტვირთი, გეგმების მოცდენის დრო დაგეგმილი 3 პროცენტის ნაცვლად 9 პროცენტით შეამცირა, ტვირთის დამუშავება პირდაპირი გარიანტებით (გემი-ვაგონი) დაგეგმილი 50 პროცენტის ნაცვლად შესრულდა 70,3 პროცენტით, წინა წელთან შედარებით ტვირთის დამუშავება 22,6 პროცენტით გაიზარდა.

როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებას? მაღალი შედეგები განაპირობა სატრანსპორტო ორგანიზაციათა თანამეგობრობამ, შინაგანი რეზერვების სრულად გამოყენებამ. საწარმოებში დაწესებული იყო მკაცრი კონტროლი, იკვლევდნენ მოცდენის მიზეზებს და უმალვე სათანადო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მენავსადგურეთა წარმატება მნიშვნელოვანწილად იმანაც განაპირობა, რომ სახალხო უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღიჭურვა.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა. საქმეს ისიც ადვილებდა, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციებს ერთმანეთთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდათ. როგორია 1979 წლის პირველი კვარტალის შედეგები?

ა. რატიანი,

ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის უფროსი

1979 წელი ჩვენთვის ისტორიული თარიღია. ნავსადგურის კოლექტივს, გადაეცა ხალთა მგზობრობის ორდენი. დიდ ჯილდოს მენავსადგურეებმა თავდადებული შრომით უპასუხეს. ტვირთვის დამუშავების პირველი კვარტალის გეგმა 125,3 პროცენტით შეგასრულეთ. შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 137,9 პროცენტით. განსაკუთრებით ნაყოფიერად გისარჯნენ ნ. ვასილეკინს, მ. ანთაძის, რ. გოგოლაძის, ი. კოკობინაძის, ა. წითლაძის ცვლები. მაგრამ ხალხური სიბრძნისა არ იყოს, მჯობთა მჯობნი ამ ქეყანად არ გამოლეულა. ჰოდა, პირველი კვარტალის შედეგებით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბათუმელი რკინიგზელები გამოვიდნენ. (სადგურის უფროსი — ვ. შარაბიძე), მათ კვარტალის ტვირთბრუნვის გეგმა 20 დღით ადრე შეასრულეს, ერთ სატვირთო ოპერაციაზე ვაგონების მოცდენა 2,2 საათით შეამცირეს. გეგმის გადამეტებით 448 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავეს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ როგორც ერთ, ისე მეორე კოლექტივს კარგი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის მიუღწევიათ, რასაც მომიჯნავეთა შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი. მაგრამ მენავსადგურეებმა, გაწეული შრომა რომ გააანალიზეს, დაასკვნეს, რომ მიღწეულით ვერ დაკმაყოფილდებოდნენ. ჯერ კიდევ ბევრია აუთვისებელი რეზერვი, რომელთა რაციონალური გამოყენება მარტო მათზე როდია დამოკიდებული. **ნავსადგურში ბოლო წლების მანძილზე ტექნიკური აღჭურვილობა ერთიორად გაიზარდა, შესაბამისად იმატა ტვირთბრუნვამ. რკინიგზის სისტემაში კი შრომითი და ტექნოლოგიური პროცესები თითქმის ძველ დონეზე დარჩა. დოკერებს აღარ ჰყოფნით მიწოდებული ვაგონები, რაც ნავსადგურს მძიმე მდგომარეობაში აყენებს.** მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. 18 აპრილს ნავსადგურმა რკინიგზის სადგურს სთხოვა 70 ვაგონი მიეწოდებინა, ფაქტობრივად, ერთი მიაწოდა. ამის მიზეზით მარტში ორ დღე-ღამეს მოცდა ხომალდი „სკვარცოვ-სტეფანოვი“, ერთ დღე-ღამეს — „სპანდარიანი“, თუ კი რეიდზე უცხოეთის გემი დგას, ყოველ გაცდენილ ერთ დღე-ღამეში ნავსადგური ჯარიმის სახით დიდძალ უცხოურ ვალუტას იხდის. იანვარ-თებერვალში ნავსადგურს სჭირდებოდა 5.220 ვაგონი, რკინიგზის სადგურმა მიაწოდა — 2800. როგორც ვხედავთ, ვაგონების მიუწოდებლობის გამო ნავსადგურს დიდი ზარალი მოსდის, ცდება ხალხი და ტექნიკა, ჭირს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულება.



სურათებზე: მარცხნივ — ბათუმის ნავსადგურის მტვირთავთა ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადა. ამ კოლექტივის ყველა წევრი — შ. ჯინჭარაძე (ბრიგადირი), ა. კვაჭანტირაძე, ნ. ყორუაძე და ა. აბუანდაძე შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ნამდვილ მაგალითს იძლევა. მომიჯნავეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ეს ქვეგანაყოფი სისტემატურად პირველობს. ბრიგადის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ მაღალხარისხოვნად ასრულებს ყოველგვარ სამუშაოს; მარჯვნივ — ბათუმის სატვირთო ნავსადგური. თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკის დანერგვა, უწყვეტი გეგმა-გრაფიკის შემუშავება საშუალებას აძლევს ნავსადგურს წარმატებებს მიაღწიოს.

ა. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთ-ერთ ამოცანად

ისმის კითხვა: სად იდგნენ ამ დროს ესოდენ საჭირო ვაგონები? ჭეშმარიტების დასადგენად რედაქციის თანამშრომლებმა გადავფურცლეთ რკინიგზის სადგურში არსებული საბუთები. თურმე, ვაგონებს დიდი დაგვიანებით ამუშავებენ ბათუმის საწარმოები, მათ შორის ტრანსფორმატორებისა და ქიმიურფარმაცევტული ქარხნები, № 5 სამშენებლო ტრესტი, პურპროდუქტების ბაზა და სხვები. მარტო შარშან საწარმოთა მიზეზით 134.930 ვაგონსაათი მოცდა, რისთვისაც ორგანიზაციებს გადახდათ 129.942 მანეთი, აი, რა მოსდევს ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს უპასუხისმგებლობას!

ბათუმის რკინიგზის სადგურში სხვა რთული პრობლემებიც დგას დღის წესრიგში, რომელთა გადაწყვეტა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამტრედიის განყოფილებამ სხვა საკითხებთან ერთად ინფორმაციის მომზადებისა და მისი გადაცემის საკითხი უნდა მოაგვაროს.

მიუხედავად ასეთი ნაკლისა კომპლექსურმა დარგთაშორისმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ორივე მხარეს მოუტანა სიკეთე. მაგალითად, **რკინიგზის სადგურმა 1977 წელს მოცდენებისათვის 642 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა გადაიხადა, შარშან კი ეს ციფრი თითქმის სამჯერ შემცირდა.** კომპლექსურმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ნავსადგურის კოლექტივს ბევრი რეზერვის გამოვლენის საშუალება მისცა.

გადასაჭრელი პროგლემები

ნ **ლეულს** ავტოტრანსპორტელთა მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში უფრო დამაჯერებელია. მათ დასახეს მთელი რიგი საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს შრომითი მეტოქეობის შემდგომ სრულყოფას.

თ. დავითაშვილი,

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი

— რკინიგზელებთან და მეზღვაურებთან ჩვენს ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასანაშაულო. სრულყოფას მოითხოვს თანამონაწილეობის ტექნოლოგიური ციკლი. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის იმ ნაწილს, რომელიც აღინიშნება სქემით: რკინიგზის სადგური-ავტოტრანსპორტი-მომხმარებელი. ამ ტვირთზიდვისათვის ჩვენ დღეს საკმაოდ დიდი რაოდენობის ავტომობილებს ვიყენებთ და მათ ეფექტიან მუშაობას გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ვანიჭებთ. სამწუხაროდ, რკინიგზის სადგურების აღჭურვილობა უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. მხედველობაში მაქვს მისასვლელი გზები, დატვირთვა-განტვირთვის მექანიზმების ტექნიკური დონე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მომხმარებელთა მზადყოფნას, მათ ორგანიზებულ მუშაობას მესამე და მესამე ცვლებში, ტვირთის დროულად გატანის თვალსაზრისით.

ლენინგრადელ ტრანსპორტის მუშაკთა გამოცდილების დანერგვას შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ: **მომავალში ჩვენმა კოლეგებმა რკინიგზელებმა, უფრო ოპერატიულად უნდა მოგვაწოდონ ინფორმაციები მოსალოდნელი გადაზიდვის შესახებ, გაუმჯობესონ სადგურების გამტარუნარიანობა, ამაღლონ დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია.**

ჩვენი მხრივ, ვალდებულნი ვართ ავამაღლოთ ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დონე და მოძრაკი შემადგენლობის ბრუნვა. მომხმარებლებმა კი ყველაფერი უნდა იღონონ, რათა სრულყონ თავიანთი ობიექტებზე ტვირთის გადამუშავების ტექნოლოგია, უზრუნველყონ მუშაობის ცვლიანობის ზრდა, და შეუფერხებელი ტვირთზიდვა დასვენების დღეებშიც.

მსგავე ობიექტებზე მაინც რომ მოგვეყოლა ორსამცვლიანი მუშაობა, მაშინ შეეძლებდით ავტოტრანსპორტის მწარმოებლობის მკვეთრ გადიდებას და ვაგონთა მოცდენის საგრძნობ შემცირებას. ამ საქმეში ავტოტრანსპორტის მუშაკებმა და რკინიგზელებმა უნდა გავაერთიანოთ ძალები და მომხმარებლებს მეტი მოთხოვნები წავუყენოთ.

ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე მოკლე მანძილზე ტვირთზიდვის გადაყვანა რკინიგზიდან ავტოტრანსპორტზე. ამ მიმართულებით ცოტა რამ როდი გაკეთდა. დღეისათვის, მაგალითად, მარნეულის ღორღის, მეტეხის აგურის, კასპისა და რუსთავის ცემენტის ტვირთზიდვის დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის. ავტომობილებით გამოაქვთ ინერტული მასალები აგრეთვე აჯამეთიდან, აგარიდან, შულავრიდან და სხვა რაიონებიდან. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით ყველა შესაძლებლობა ამოწურული არ არის. რკინიგზაზე ჯერ კიდევ დიდია მოკლე მანძილზე ტვირთზიდვა, მაშინ როცა ამას ავტოტრანსპორტი უკეთ შეძლებდა...

ამჟამად საავტომობილო სამინისტროს განკარგულებაშია რესპუბლიკის ტვირთსაზიდი საავტომობილო პარკის მხოლოდ 21 პროცენტი. დანარჩენი ავტომობილები წვრილ მეურნეობებს, უწყებებს და სხვადასხვა სამინისტროს ეკუთვნის. მათი მწარმოებლობის დაბალი დონის მიუხედავად, ისინი სრულებით არ მონაწილეობენ ცენტრალიზებულ გადაზიდვებში. ეს კი ის რეზერვია, რომელსაც შეუძლია ძალზე საგრძნობლად აამაღლოს ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა.

რაც შეეხება ტრანსპორტელთა ურთიერთობას ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებთან, აქ ჯერჯერობით სათქმელი ბევრი არაფერია. საქმე ის არის, რომ ნავსადგურებში გადამუშავებული ტვირთის თითქმის მთელი რაოდენობა რკინიგზაზე იზიდება. ეკონომიკურად კი უფრო გამართლებული იქნებოდა, მსუბუქწონიანი ტვირთის მოკლე მანძილზე გადაზიდვა ავტოტრანსპორტის მუშაკებს რომ დაკისრებოდათ.

რედაქციისაგან: „ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძში მეზღვაურთა, რკინიგზელთა, ავტომობილისტთა და მემდინარეთა კოლექტივების შრომითი მეტოქეობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებით დარგთაშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. იგი მტკიცე მეცნიერულ საფუძველს ეყრდნობა.

მუშაობის ეს მეთოდი ძალზე სიცოცხლისუნარიანია, ამიტომ იგი მომიჯნავეთა შრომითს მეტოქეობაში ეკონომიკური და სოციალური პროგრამის შესრულების, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი ბერკეტი უნდა გახდეს, როგორც ეს მითითებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ამ შეჯიბრების პირველმა ნაბიჯებმა უკვე შეუწყო ხელი ადამიანებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებას და, რაც მთავარია, უზრუნველყო სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ახლა ნიადაგი მომწიფებულია იმისათვის, რომ მომიჯნავეთა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაციების აქტიურობითა და მხარდაჭერით, ხელში აიღოს რესპუბლიკის პროფსაბჭომ, რათა ეს პაექრობა უფრო ეფექტიანი და გლობალური გახდეს.

გვერდი მოამზადეს ო. არაგელიძემ, შ. ამაშუკელმა, მ. გორგილაძემ და გ. ნოდიამ.

თუ ვასწავლით, გზაც მივცეთ

სკოლის მიერ გაწეული შრომა

ფყალში არ უნდა ჩაიყაროს

ჩვენს სკოლებში შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შედეგი უწინარეს ყოვლისა ამით უნდა ვლინდებოდეს, რამდენად სწრაფად ებმებიან ეკონომიკურსამთავრებულები საქმიანობაში პროფილის მიხედვით. ამ მხრივ კვლავ ერი ნაკლი გვაქვს. ეს ნაკლი აღიწერეულია ჩვენს სკოლებში ჩატარებულ ოფიციალურ ფასეულობებში. ეს ნაკლი ეფუძნება ზოგადად ფასეულობებით აღზრდის საქმეში, ეს ნაკლი სავსებით მართებულად ... ალინიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „გამრავლებულ ... ფორმალიზმს აღმზრდელობითის მუშაობაში".

ჩვენს რესპუბლიკაში დღეისათვის სოფლის ზოგადსაგანმანათლებელ სკოლების უფროს კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლება შემოღებულია 690 სასოფლო სკოლაში. მაგრამ მარტო გამრავებულ შრომით სწავლებით, გადასული სკოლების რაოდენობით როდი განისაზღვრება სწავლეთა შრომითი მომზადება. მთავარი არც ის არის, თუ ... ოდენ რამდენმა მოსწავლემ მიიღო პროფილით სათანადო მოწმობები. ჩვენი აზრით, მთავარია ... ადამთავრებულ მოსწავლეთა რაოდენობა ჩაება სოფლის ... ეკონომიკაში. პროფილის მიხედ-

... საშუშაოდ და როგორია ... შრომითი მონაწილეობა, ... ეკონომიკაში მდგომარეობა? რა ნაკლოვანებანი გვაქვს? საქმის ინტერესი მკაცრად მოითხოვს ხელ-ფეხ უმოკლეს დროში მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებას. რა გზით, რა საშუალებებით? ... ალინიშნული, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამოქვეყნებული დადგენილება — „გამრავლებულ ... ფორმალიზმს აღმზრდელობითის მუშაობაში". ზოგადსაგანმანათლებელი სკოლებში 1970-1971 სასწავლო წლიდან შემოღებულია გამრავებული შრომითი სწავლება. რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სასალხო განათლებისა განყოფილებები, სკოლისა და მეურნეობის ხელმძღვანელები ... ეფექტურობით მოეკიდნენ ... ადგენილების შესრულების საქმეს, მაგრამ ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია, ... ფორმალიზმის ფაქტები.

